საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1610

ქ. თბილისი

08/12/2021

„საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი - თერჯოლა - ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ-რუფოთი - ალისუბანი - საზანო - თუზი - ქვაციხე - კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე, მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელი“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 აპრილის №2-292 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა ჭიათურის მუნიციპალიტეტში „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი -თერჯოლა - ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ-რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე, მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 აპრილის №2-292 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე- 3 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (№27; 13.04.2018) , რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი - თერჯოლა - ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ-რუფოთი - ალისუბანი - საზანო - თუზი - ქვაციხე - კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე, მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელი“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 აპრილის №2-292 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი - თერჯოლა - ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ-რუფოთი - ალისუბანი - საზანო - თუზი - ქვაციხე - კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე, მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელი“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;“

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი